

# სასოფლო-გზეთი



სასოფლო-გზეთი  
საბჭოთაო

გაზეთის ფასი:

გაზეთი	თულისში	გაზეთი	თულისში
და გარეშე	ადგილობრივად	და გარეშე	ადგილობრივად
წლიური	წლიური	წლიური	წლიური
ფასი	ფასი	ფასი	ფასი
— 4 მან.	— 3	— 3	— 2
საბჭოთა	საბჭოთა	საბჭოთა	საბჭოთა
ფასი	ფასი	ფასი	ფასი
— 1 მ. 50 კ.	— 1 მ.	— 1 მ.	— 1 მ.

## მესამე წელიწადი

გამომცემის შპს-ით.

ბელის-მ-ო-წ-ე-რ-ა-მ-ი-ი-ლ-ე-ბ-ა:

თულისის „სასოფლო-გზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამა. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბეშუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით. თულისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вк Тяжисъ, въ контору редакцїи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографїи Меликова и К.-и.

შოკლადი გვიან განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თულისში, მელიქიშვილის და კამა. სტამბაში.

№ 1. შაბათი.

III.

17 იანვარს 1870 წ.

### შინაარსი:

ჩვენი გაქირებულნი ცხოვრების მიზეზი ჩვენი უმეტესობაა. — მგელ-კაცა (აფთარი ტურა ფორტევი) — მფურნეობა და სახლონობა: შურისას ხალი, ადგილობრივად. — შარლისაგან სარგებლობა აჯახობაში. — სავაჭრო ნაწილი: — შატელის ვაჭრობაზე ევროპაში. — საექიმო ნაწილი: — სატყუარის წამლობა, სხვა და სხვა ამბავი: აბრეშუმის მოწყობი მუხის კია. — სამფრეო შოკლადზე. — არხების გაყვანა იპანიაში. — მანეგელი ჰიპოთეზის გასაწვევტ ნაშალზე. — მთუთისის გუმბერნატორის განკარგულებანი. — მანცხადება.

### ჩვენი გაპირებული ცხოვრების მიზეზი ჩვენი უმეტესობაა.

მას აქეთ რაც ეს ახალი წელი დადგა, მკითხველთან ჯერ არ შემხედრიან ლაპარაკი. ამისთვის ამ პირველ საუბარს ახალი წლის მოლოცვით დაიწყებ: „მწერთან მრავალს ახალწელიწადს ბედნიერათ დაგასწროსა“. ძალიან დიდი ხნიდან შემოულა თ ეს მოლოცვა და მართლაც კარგი აზრია ამ მოლოცვაში. შოკლადი გავილი წელი გვაძლევს მრავალ გეარ შემთხვევას, რომლის მოსწრებითაც ჩვენი გონება მდიდრდება გამოცდილებით: თუ შემთხვევა უბედური იყო ჩვენთვის, იმისი მოგონება სამძიმოა და ამის მიზეზით უფრო გვიხარია ახალი წლის დადგომა, რადგან უბედური შემთხვევით გამოცდილი გონება ახალ წლის განმავლობაში ან მოგვარიდებს ამ უბედურებას, ან თუ იმისთანა შემთხვევა კიდევ დაბრუნდა, გამოცდილებამ ისეთი რამე ღონის ძიება უნდა მოგვამარბინოს, რომ თავისი კვალი არ დაჩვენებინათ იმას ჩვენ ცხოვრებაზე.

ამას გარდა გასულ წლებში მოგვრებულნი ცოდნა და გამოცდილება გულს გვიმხიარულებს იმით, რომ იმედი, გვაქვს ახალი წელიწადი უფრო ბედნიერათ გვატაროთ და უფრო ხეირიანათ მოვიხმაროთ ჩვენი ცხოვრების საკეთილ-დღეობა.

მთელი საქართველოს ხალხი ახალ წელიწადს შეევერებთ თოფისა და დამბახის სროლით: „მწერთან გაუმარჯოს ჩვენს მკლავს და ჩვენს თოფ-იარაღს მტრის დასამბობათაო“. მაგრამ ახლა ყველა ჩვენმა უწინდელმა მოსისხლე მტრებმა დაჰყარეს იარაღი, — მენლობისა და ძმობის მეტე ისინი აღარას ითხოვენ ჩვენგან. მაშ ახლანდელი ჩვეულება ახალ წლის წინაღამეში თოფის სროლისა სწორეთ იმის ნიშანი, მხოლოდ რომ ჯერ კიდევ უწინდელათვე გველანდებიან მტრები ჩვენი ცოდნისას ასაწვევტათ და გაცხარებული სროლით გვინდა ვიბედნიეროთ იმათი გაქცევა. ზული გაიმარგე ქართველო, ნულა გეშინია ძველი მტრებისა, ნურც იმათი თავს დაცემისა. ღრთა: ეთარებამ უწინდელი მტაცებლები ცხოვრათ შესცვალა.

ჩვენ ამ ყვამთ სხვა მტერი გვაყავს სახლში. ის მტერი კაცთაგანი არ არის, მაგრამ თავის მანეგელობით სულდგმულს მტრზე უარისა. იმას ჰქვია სახელათ გაუნათლებლობა, უგნურება. მსაღმის წლის ჩვენი მტერი იმდენს ზარალს გვაძლევს, რომ არც თათარს და არც ლეკს იმისი მეთადი

ზარალის მოცემაც არ შესძლებია თავის დღეში. მით უფრო საშიშოა ეს შინაური მტერი, რომ თვალთ ვერ ვხედავთ, ყურით ვერ ვისმენთ, გონებით ვერ მიხედვარავთ, დღე და ღამე კი ნადავს განუშორებლათ თან დაგვედეს: იმის გამო იხოცება ასე უწყალოთ ჩვენი ახალგაზრდა, იმის გამო კუტდებიან ჩვენი ქალები, იმის გამო უფრო თან-დათან ღარიბდება და გლოხავდება ჩვენი ხალხი.

გამოაფხულებს როდესაც ორი სამი დღის წვიმით იმდენათ გადიდდებიან წყლები იმერეთში, რომ სულ ერთიანათ წალქევენ და წაიღებენ დათესილ ქალებსა, იმერელი სოფელი გამოდის თავის ყანებში, სადაც ნამუშევრის მადიერათ ჰხედავს მხოლოდ ლექსა, შემოიკრავს ხოლმე თვეში ხელს და ჰგლოცს ხელის გულსაგანით მოტიტელებულს და ქეშით მოფენილს თავის ყანებსა.

— რომ ჰკითხო რისგან არის შენს თავს ეს უბედურება?

— მოგიგებს: — ჩვენი ცოდვისაგან და ღეთისგანაო. ის კი არ იცის იმ საწყალობა, რომ თეთონ ის არის თავის უბედურების მიზეზი და სხვა არაფერ. იმან არ იცის, რომ რაც უბედურება ეწია, სულ საკუთარის უგუნურებისაგან ემთხვია და არა ღეთისაგან, რომელიც იმდენათ სულგამძლია, რომ ჩვენის კეთილ-მდგომარეობისთვის გვაძლევს ყველაფერს ქვეყანაზე, ოღონდ ჩვენ გონიერათ მოხმარება შეგვეცდოს. მაგალითად უწინ იმერეთის მთები ძალიან სქელი ტყეებითა და დიდ-

რონი ხეებით იყო მოკული, რომლიდგანაც აუარებელი ფოთოლი და გამზმარი ფიჩხები სცივოდა ძირს. როდესაც წვიმები მოდიოდა, ეს ტყეები, ძირს დაცვენილი ფოთლები და ფიჩხები წვიმის წყლებს იკავებდნენ და ცოტ-ცოტარათ უშვებდნენ მდინარეებში: ამისთვის არც მდინარეები გადმოდიოდა ქალებზე, და არც წალექავდა ხოლომე ქირან-ხულსა. ახლა იმერეთის ხალხმა თავისი უცოდინარობით დაუწყო ჰრა უთავებოლოთ ტყეებსა და რამდენიმე წლის განმავლობაში სულ ერთიანათ მოატიტლაო ტყით დაბურული მთები. ამის გამო ცოტა წვიმაც რომ მოვიდეს, იმის წყალს წინ აღარა უხვდება რა და სულ ერთბაშა ჩარბის მდინარეებში; ამისგან წყლები უფერად გადოდლებიან, გადმოდიან ქალეზზე, წალექვენ ნაბუშეყარსა და იმერელი მეოჯახე რჩება მშრალზე ცოლშვილით მუცელცარიელი.

რომ ჰკითხო, რისგან წახლდა ამდენი შრომა, ან რათ დარჩა მშვიერი? — ის მოგვებს ჩვენი ცოდვისაგანაო. მე ვეტყვი ჩვენი ცოდვისაგან კი არა ჩვენი უგუნურებისაგან, უთავბოლოობისაგან მოხდა ეს უბედურება — ამის მიზეზი უთავბოლოთ მთებში ტყის გაწყვეტა და იმისგან წყლების გადავლა იყო ქალებზე. აი ამან წაილა ნამუშეყარი.

მაშ ეინ არის ჩვენი ამომგდები მტერი. — ზაუნათოლებლობა და უცოდინარობა ჩვენი დამღუპველი.

ათი ხუთმეტე წელიწადი მას აქეთ, რაც მსეთში ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა. მართი ოსი გამოჩნდა, რომელსაც კარგი ჰუმასის მალა ჰქონდა გაღვიძებული, მაგრამ ამასთან ხელის განძრევანდაც უნტათ ბრძინდებოდა, რომ სარჩო გაპოულებლათ ჰქონებოდა. იფიქრა, იფიქრა; ბოლოს თქვა, ერთი მკითხაობა უნდა დაეწყო, რომ კარგა ქეიფიანთ გავატარო ფრო, თორემ ასე მუცელცარიელობა არას მარგებოდა. მით დღეს შეუყარა თავი მეგობრებს და უთხრა: „სიზმარი ენახეო, წმინდა ზიორგი თეთრი ცხენზე იჯდა და გავჯერებული მეუნებოდაო: ამაღამაც კაცს რომ მსუქანი უშობელი ჰყავს, ის თუ არ დამკალით და ჩემს სახელზე წირვა არ გადაიხადეთ მთელს ოსეთს დაეპტევიო“.

მაშინვე ეს ეშმაკი ოსი თავისი ამხანაგებით მიუხდნენ იმ სოფელს, საცა მსუქანი უშობელის პატრონი იდგა და გამოუცხადეს წმიდის ზიორგის ბრძანება. სოფელი შეეყარა, იმ საწყალს კაცს ერთად ერთი უშობელი წართვეს და კარგი სადილი სჰამეს. მერე იმავე ოსმა მოიგონა მეორე სიზმარი: ამა და ამ კაცს რომ შავი დეკეული ჰყავს წმინდა ზიორგიმ ბძანა ჩემ სახელზე უნდა შექამოთო. ამ სახით შეიძრა მთელი სოფელი მოქეიფე ოსის წინამძღოლობით, და დღეს ერთს დაუკლავდნენ ხარს, ხვალ მეორე გლებს — ძროხას, ზეგ მესამეს ცხვრებს შეუქამდნენ. მუშაობას თავი დაანებეს, ბატონო, და მოჰყვენ ერთი ერთმანეთის აწიოკ-დაწიოკებას. ცოტა ხანს რომ კიდევ გაგძლებუ-ლიყო ასე, შენი მტერი, ერთმანეთ დაექე-ვდენ.!

ღმერთმან აკურთხოხს, გამოჩნდა ერთი გონიერი მდივანბეგი, რომელმაც თავისი შუღლით გაფანტა ეს ჯარი და თვითონ ქეიფის მოყვარე ოსი სამართალში მისცა. რომ ის არა, სწორეთ მოაოხრებდნენ მთელ ოსეთს წმინდა ზიორგის სახელზე.

მართი ჰკითხოხს კაცმა, წმინდა ზიორგის ან რა შეემატებოდა, ან რა დააკლდებოდა საწყალი კაცისაგან ერთად ერთი ძროხის წართმევით და შექმით. ის კი არა წმინდა ზიორგი უფროც გავჯერდებოდა ღარიბი კაცის შუფუხებისათვის. იმდენი ცოდნა არა ჰქონდათ უსწავლელ სოფლებებს, რომ მოეცხარათ, ამ მკითხავს ოსს სწორეთ თავის მუცლის ვასაძღობათ მოუგონაო ეს ამბავი“ და ეთქვათ: „დაჰკა მაგ ცრუბენტელასა“. ამის მაგიერათ კინაღამ ერთმანეთი ააოხრეს. რაც ამისთანა უგუნურებამ ძროხისა და უშობელის პატრონებს ზარალი მისცა, არც ერთი მტერი იმდენს არას უზამდა. მაშ კანონი და რიგა, რომ ახალწლის მიგებება თოვლის სროლით კი არ ვიდღესასწაულოთ, განათლების შემატებით და უცოდინარობის განქარვებით. ჩვენი მილოცვა ახალწლის დადგამაზე საქმი-თაც და სიტყვითაც ასე უნდა იწყებოდეს: „ღმერთმან მრავალი ახალი-წელიწადი გავითენოსთ სწავლის შემატებით და უგუნურების თავიდან მოცილებით!“

ჩვენში კაცს აღარობებს საწირავებში. იმისთანა გლები ძნელათ მოიძენებო, რომ წელიწადში სამი ოთხი ცხვარი მანც საწირავათ არ გააცეს და თუ ეინმე აეთ ვახდა ძროხასაც ზედ წადღეს. რაც საწირავში ეხარჯება, იმდენი, ვგონებ, არც ბატონისა და არც სახელმწიფოა გადასახადში არ ეხარჯება.

ღმერთი ითხოვს კაცისაგან მხოლოდ წმინდა გულს, თავის მოამეს ბოროტი არ უყოს, კაცი არ მოკლას, გარყენილობა არ მოიქმედოს, მეზობელს და თავის ქეიფის კაცს არაფერი აზარალოს. აი, ღმერთის შესაწირავი და იმისი სასიამოვნო საქმე ეს არის. მაგრამ რა მიზეზია, რომ ჩვენს სოფლებებს არა სჯერათ ესა და მაინცა და მაინც ცხვრის და ძროხის საწირავებთ თავის თავს აზარალებენ? — ამის მიზეზია უგუნურება, უცოდინარობა საოფლებისა.

ღმერთმან მრავალი ახალი წელიწადი გავითენოსთ სწავლის შემატებით და უცოდინარობის განქარვებით!

მკითხავებისთანა ქირი ხალხის უგუნურებას არა გაუჩინა რა. — სოფლებს გაუხვდება ეინმე აეთ, ან დაეისხმება რამე ახირებული, მაშინვე მკითხავთან მირბის და თავის უჯანსკნელს გროშს იმას აძლევს, ოღონდ კი აეთ მყოფი მოურჩინოს და სიზმარი კარგათ აუხსნას. ისიც, რასაკვირველია, საწირავის მითხანას ეტყვის

ამ სახით ცალკე შესაწირავი და ცალკე მკითხავები ყველფ ჩვენს საწყალს, უმისოთაც გაღარიბებულ სოფლის მცხოვრებლებს. სოფელმა რომ იცოდეს, მკითხავის ეშმაკობა, რომ იცოდეს რომ ისიც იმისთანა უბრალო კაცია, რო გორც თვითონ გლები, რომელიც იმასათ მიდის საკითხავთ; — როგორც თვითონ გლებ არა გავგებარა მკითხაობისა, ისე მკითხავს: მაგრამ ეს უფრო ეშმაკია გლებზე და იმიტო

ატყუებს—ეს რომ იცოდეს, მაშინ რასაკვირ-  
ველია, გლეხი არ წაეა საკითხავთ და არ მი-  
სკემს უკანასკნელს გროშს; მაგრამ წინათვე  
თქმით უკლინარობა გლეხის მკარცელი  
მტერია...

„ღმერთთან მრავალი ახალწელიწადი  
გაგიტენოსთ განათლების და გონების შემა-  
ტებით, უფუნურება კი აგაშრობოს!“

იმერეთში იციან ერთი ცუდი ჩვეულება,  
რომლის გამო თითქმის ხალხი აღარ მრავლ-  
დება მეტის მეტი ხოცვისაგანა როგორც  
მოგვსენებთ თბილი ჰაისი გამო იქ ყველ-  
ფერი ადრე ყვავის, ამასთან მინდვრის ხილიც  
მრავალია. ჯერ ტყეშალს და აღუწას ყვავილი  
არ შემოსკნობია, ნაყოფი ისე მწვანეა,  
როგორც ხის ფოთოლი, რომ მცხოვრებლე-  
ბი მიხეციან და სჭამენ პურსავეთ. სწავლუ-  
ლები ამტკიცებენ, რომ ეს დაუმწიფარი მწვა-  
ნი ხილი საწამლავია კაცის სტრამაკისათვის,  
მაგრამ იმერეთის ხალხს ვგონებ ჯერ არ შე-  
უტყვია ეს ამბავი. ამიტომ რომ სიამოვნებით  
სჭამს ამ კვანებ ხილსა, რომელიც აღდენს  
სტრამაკსა და ყვანას (მუცელ-კეთილას) აჩენს.  
ამასთან იმერლის სახლი რომ ნახო, მაშინვე  
იფიქრებ: აქ კარგამყოფი აუთ გახდება, თო-  
რემ აუთყოფი ხომ ღმერთმა შეინახოს აქ  
დგომისაგანაო. ძირიღვანაც სცემს ქარი,  
გვერდებიღვანაც და ზემოდგანაც. ძედლებს  
ასეთი ფარალალები აქვს, რომ აქლემი გა-  
ძვრება.

ამ ნაირათ მკვანებ ხილისაგან სტრამაკ მო-  
შლილ ავამყოფს აწეენენ ზემოთ მოყე-  
ნილ ფარალალიანს სახლში, სადაც ეს საწ-  
ყალი მუდამ ცივდება ხოლმე,—ქირი ქირს  
ერთის და აუთყოფის სულს ღმერთი მიიბა-  
რებს ხოლმე. მამოზაფხულზე მთა და შარი  
სულ ამ საწინელ აუთყოფობისაგან არის  
მოკული, რომ იცოდეს მკითხველო, რა საში-  
ნელი ყმაწვილების და დიდების სიკედლია  
ამ საოცარი მუცელ-კეთილისაგან და იმის  
მიყალ სახანისაგან, გული შეგიწუნდება.  
მოსახლეს ძვირათ იპოვი, რომ ვინმე არ მო-  
მკვდარიყოს. რამდენსაც ეს აუთყოფობა  
ჰკლავს, მერწმუნე, იმდენი არაფერს ომში  
არ მოკვდებოდა. აქაც მიზეზი ჩვენი გაწყე-  
ტისა, უმთავრესი ჩვენი მტერი უმცრე-  
ბა და უფუნურება, რომ არ ვიცით, რასა-

კმელს რა მიენებელი თვისება აქვს, არ ვი-  
ციით, რომ უბუხრო და ფარალალიანი სა-  
ხლი რა მიენებელია ჩვენი სიკაცობისა; არვი-  
ციით, რომ უსუფთაობა, და შინ ცუდი ჰაერი  
არიან მიზეზნი ჩვენი ყმაწვილების ხოცვისა.

„მაშ ღმერთმა მრავალი ახალწელიწადი  
გაგიტენოსთ, უმცრებისა და უფუნურების  
თავიღვან მოკილებით!“

შველსაზე უფრო გასაოცარი და გულის მო-  
მკვლელი ამბავი არის ქალების დაკუტება.  
ქვირაობით და დღესასწაულზე თქვენ ხში-  
რად შეხვდებით მშვენიერ ფერხორციანს ქა-  
ლს, თქვენსმეტ ჩვიდმეტის წლისას, რომლის  
ტანმთელობა სდულს და გადმოდის. ცოტა  
ხანს შეძლებ, როდესაც ქალი გათხოვდება და  
პირველი შვილი მიეცემა, თქვენ ნახეთ და  
არ გჯერათ ეს მშვენიერი თვალის მიმტაცე-  
ბელი სიხალგაზრდე ასე ადრე, რამ დააქწრა  
და რამ წაახდინაო!...

იმ მშვენიერი ქალის ჰაგიერთა, ორი წლის  
წინათ რომ დიდი გრძობით იტაცებდა თქვენ  
თვალს, ახლა ჰხედეთ ქმრის ოჯახში უძრავ-  
ვით მუდამ ერთადილს მგდომარეს, ფერ-  
მიხდილს, მიმქრალს, მკერდ ჩაყარდილს პირ-  
ველი შვილის დედას. ეს გახლავთ დაკუტე-  
ბული. ამ ნაირი დაკუტებული ქალები თუ-  
რემ ძალიან ბევრია ამ ჟამათ იმერეთში; მკ-  
ვი არ არის, რომ მართლ-მახეთნოვაც იქნები-  
ან ამისთანა დედები.

„იმერლებს კითხეო—სწერს შორანელი  
ბლაღოჩინი—რა არის მიზეზი ქალების დაკუ-  
ტებისა ერთი ან ორი ბაშვის გაზღის შემდეგ?  
მით მითხრეს; მიზეზი, ბატონო, უნდა იყო-  
სო ა ყ ო ლ ი ლ ი, და მ ო ხ ლ ო მ ი ლ ი ო  
(აყოლილს და მოხდომილს უძახიან ყმაკე-  
ულობით აუთყოფსა), საყმწვილო, ან რო-  
მელიმე ხატის მიზეზიო?—მშჰაკების იმერ-  
ლებს მაინც ძლიერი ეშინიანთ. რას უნდა  
მივაწეროთ ეს რომ ასე ძლიერი შემინებუ-  
ლნი არიან იმერლები ყმაკებისაგან და ქი-  
კებისაგან? ჩემი აზრით ამ ამათ მორწმუნე-  
ბის მიზეზი აქაური ადგილების მდებარეობაა:  
აქაური მთები, ოღრო-ჩოღროები, სწორეთ  
უცნაურს მოაფიქრებინებენ მშოშარა მოგზა-  
ურსა დამეში. აი, რა არის მიზეზი რომ ასე  
ძლიერი ეშინიანთ იმერლებს ყმაკებისა და

კუდიანებისა“. მსე იგი მიზეზი ხალხის უსუ-  
ლინარობაა, რომელსაც დამის შიშით წარმო-  
უდგენია ქვეყანაზე ქინკები და კუდიანები,  
თვალთ კი არაის უნახავს და ვერცარაინ  
ნახავს, ამიტომ რომ ქვეყანაზე არ მოხერ-  
ხდება აწნაირი სულიერების ყოფნა.

საწყალი პირველი შვილის დედა ჰფიქრობს,  
თუ რამე ან ხორცეული, ან რძე ან სოკო  
და სხვა ამისთანა მარგები საკმელი სჭამა, მა-  
შინვე შვილი გაუზდება აუთ და სნეული გა-  
მოუა. ამ ნაირათ ძუძუს მაწოვებელმა დე-  
დამ ის კი არა თუ, იფიქროს ერთის მაგიერათ  
ორი უნდა ვაცხოვრო—ჩემი თავი და შვილი—  
და ამისთვის ყუათიანი საკმელები ესჭამო, ან  
ლონეს მომგერელი ღვინო ესვაო,—არა ის  
ჰფიქრობს ყმაწვილის ტანმთელობისათვის უნ-  
და ესთმობდევო, და მართა ცივ სიმინდის  
მპაღზე ან ცივს ღომზე გადილის ხოლმე.  
აქედგან არა წარმოსდგება: დედას თან-და-  
თან ღონე ელევა, მკლავდება, რძე თან-და-  
თან ცოტა უდგება და ყმაწვილს საზრდოთ  
აღარ ჰყოფნის: ტანმთელი ყმაწვილის გაზღის  
მაგიერათ ჯერ თვითონ დაკუტდება შიმში-  
ლით და მერე კიდევ კვდება, შვილსაც ჰკ-  
ლავს. ზოგჯერ შვილი იქნება კიდევ გადარ-  
ჩეს, მაგრამ დედა ღონე მოკლებული და და-  
კუტებული მაინც თან გადაჰყვება ამ თიობასა.

„შენურება მკითხველო ჩვენი მტერი, ამ  
უფუნურების წყალობით საწყალი ქმარი უღრო-  
ვით ვთხოვება თავის ღამის ცოლსა და  
შვილსა. იქ სახლი როგორღა იმრავლებს; სა-  
დაც შიმშილით დედა და ყმაწვილი თავის  
თავს იხოცვენ. შენურის მეტი ვინ იზამს ამას,  
როგორც დედამ, ისე ბავშვმა კარგი საკმე-  
ლი:—კარგი ხორცი, კარგი ღვინო, ჰუ-  
რი, რძე, სოკო, ყველი, კვერცხი ღობობა,  
ესეები დასთმოს კი არა, მაშინ უფრო უნდა  
სჭამონ, როცა შვილია სახდელი, რომ  
დღედაც ფერ ხორცზე იყოს და შვილიც  
მალე გაზარდოს. მაგრამ უფუნურება თმო-  
ბით დედასაც აფუტებს და შვილ-  
საც.

„მაშ ღმერთთან მრავალი ახალი წელიწადი  
გაგიტენოსთ უფუნურების მოკილებით და გა-  
ნათლების შემატებით!“

მა იტიროს, ის მაშინვე ხორცის ქამას დაბრალდებს და არა აკვანს, რომელშიაც ყმაწვილი საცოდავთ არის ჩაქრული, განძრევა არა აქვს, ცუდით რომ ან ხელი დაჰყვეს, ან ფეხი, მეტი რა გზა აქვს, ტირილს უნდა მოჰყვეს და ამით განაცხადოს თავისი მწუხარება. შეილის დედას ეს ჰგონია ნაწყენისაგან და ხორცს პირში აღარ ჩაიკარებს. მეორე დღეს ყმაწვილი კარგით არის, მაგრამ დედა მაინც მკითხვითან ჰგზავნის კაცს თავის გასაცარცველათ. მითო ქალს, რომელიც თმობით დაკუტებულია, რაც უნდა ღარიბი იყოს, ასე მანეთი მაინც ექნება დახარჯული: ზოგი მკითხაობაში, ზოგი მარჩიელების წამლებში, ახლა გამოლოცვაში, ზოგი მღვდელს მიაქვს საწირავათ, ზოგი სალოცველო ცხერებში და სხვ.

—ჩემს გარემო—ამობს შორაპნელი ბლადონინი—სოფელთა იციან, რომ მე სწულთა ესარგებლობ; ამის გამო, სხვათა შორის, კუტმა ქალებმაც დაიწყეს ჩემთან სიარული საექიმოდ. მე განსაკუთრებით ყურადღება მივაქციე იმათ და მაშინვე შეუდეგი ამ სიკუტის მიზეზის გამოკვლევას. პირველათვე ესცანი, რომ მიზეზი სიკუტისა იყო. თმობა, მაგრამ მაინც მინდოდა შემეტყუა მართალია ჩემი აზრი, თუ არა. —ამისთვის ერთ კუტ ქალს განზრახვით დაუნძინე წამლათ ერთი უფნებელი ბალახი და მასთან მივეცი დარბევა, რომ ბალახი უნდა გამოედუღებია და ერთი სტაქანი ჩისაგით უნდა დაეღია, მაგრამ წამალთან ხსნილშიაც და მარხვამაც კარგი ხორცის საქმელი და ისიც ბარაქიანათ უნდა მიეღო; ბავშვი ორი კვირის ვადით გავაბარებინე. ორი კვირის განმავლობაში ქალს თითქმის თავისი დაკარგული ღონე მოუყვია; ბოლოს ენმარე ყოველი ღონისძიება მდიდური და მოძღორული და შთავაგონე, რომ ყმაწვილი კარგი ხორცი, კარგი რძე დედისაგან მიღებული არაოდეს არ აწყენს. პირველ შემთხვევაში, რასაკვირველია, ძლიერ გაჭირვებით ჰმედედა ხორცის ქამას, მაგრამ ბოლოს დროს როგორც იყო დაეჯერე; და დასტოვა თუ არა თმობა, სრულად მოუბრუნდა იმას ტანის სიმრთელე და ამას გარდა სხვა მთმობელზე უფრო ჯანმთელი შეიღობი ჰყავს.—

\* \*

„ეს გამოცდილება არა ერთხელ არის ჩემგან ნასინჯი, მაგრამ, ვინც გაიგონა და დასტოვა ეს მანებელი თმობა, ყველანი კარგათ

არიან და ცხადათ გრძნობენ, რომ ისინი წვადლებისათვის კი არ არიან დაბადებულნი, (რომელი აზრიც მათ ანუგეშებდა წინეთ), არამედ ნეტარებისათვის.“

\* \*

ამ სახით უფურცლებისათა და ცუდი ჩვეულებისათა მტერი ამ ქამად არავინ გეყავს, პირველი საშუალება ამ მტრის მოსაცილებლათ არის განათლება, შეიღობის ვაზნა შკოლებში, — შკოლების გამოთვა სოფლებში. — მაგრამ მეტყეის მკითხველი, სად არის ღონე მაგისტანა საქმეები რომ დავიწყეთო? ეს მართალია, მაგრამ არც ისე ხელმოშვებით უნდა ვიყოთ, როგორც ჩვენ ვართ. დავანებოთ თავი უბრალო პატივობას, დიდ სტუმრობას, ქელეხებს (აღაბებს), დავანებოთ თავი მკითხვებთან სიარულს, რომელნიც მტარცველობის მეტს ხეირს არას გვაძლევენ, დავანებოთ თავი შესაწირავ ცხერებს და ძროხებს, ამიტომ რომ ღმერთი არ საქარობს ჩვენ შეწირვაში, იმას ჰსურს მხოლოდ რომ ჩვენ ვიყოთ კეთილი მშრომელი და სხვისთვის ცუდი არ გვინდოდეს, იმას ჰსურს, რომ ჩვენი გული შეიქნეს სული წმინდის სადგამი. აი, ჩვენი მსხვერპლი ღვთის წინაშე ეს უნდა იყოს. რაც ზემოთ მოვიხსენე, იმ უბრალო ხარჯს რომ თავი დავანებოთ, იმდენი ფული გადავგვრჩება, რომ შკოლებსაც გავმართავთ და უკეთაც ვიცხოვრებთ.

მეშ ღმერთთან მრავალი ახალ წელიწადი გავითენოს, მკითხველო, ამ კარგი საქმეების შესრულებით ჩვენ და კეთილდღეობისათვის. — თელი

**მგელ-კაცა (აშთარი, ტუა-ფოსხმერი).**



რაც აქ დახატულ ცხოველზე ზღაპარი ჩვენში გამოთქმული, გვრნებ არაფერ ცხოველზე არ არის იმდენი. ქაწვილობაში ნათ-

ქვამი ზღაპრებისაგან ჩაყოლილ, სურათზე ამ ცხოველისა ახლაც ცოცხლათ თვალწინ მიდგას, — როდესაც ერთ მხნე და დაწმინდა კაცს ძილში ქურდულათ მივაპარა თეთრი გველ ბაღონიანი მგელი დი უნდოდა ფეხებზე ქალამეზი წაეძრო, აღბთ გრძნებით ჰსდომებია იმ კაცის მოჯადოება. ამ დროს გამოიღვიძებს ეს წმინდა კაცი და ჰკრავს ფერდში დანას; თეთრი მგელი გადინახარებს და გაიქცევა, თან ილლიადან სისხლი სდის. წმინდა კაცი სისხლის კვალს გამოუდგება და მიატანს ერთს ფაცხაში, სადაც მგელი კაცად გადაქცეული ბედს იწყველის და კენესის დეკადილობისათვის.

\* \*

ეს ამბავი, ჩემო მკითხველო, სულ ზღაპარია, ამიტომ რომ ქვეყანაზე არც ეშმაკის სულია და არც იმისთანა მგელია, რომ კაცად გადაქცევა შეეძლოს, მაგრამ მოგონებულსაც ახსნა უნდა. ჩვენც გამოვიკვიროთ, საიდან წარმოსდგა ეს მოჭირბეული ზღაპარი ჩვენში?

\* \*

აი საიდგან. აფთარის შვე გაპურულსა და მსხვილ თავბრის რომ შეხედო, როცა აიჭრჩება, დაიქვენება და გამჭოყრის აღმასსავეთ მკრელს თეთრი ბროლივით კბილებსა, მართლაც შეგეშინდება, — იტყვი, ეს სწორეთ ვშმაკის მოდგმის ცხოველი უნდა იყოსო. ამას გარდა ის გამოდის ხოლმე ხერელიდგან დამით, უახლოვდება სოფელს ან ქალაქს, რომ სადმე მძოკრი ნახოს და ზედ მიადგეს. ამ ცხოველს ტურასავეთ ძალიან უყვარს ლეში. ამისთვის ხშირათ გათხრის ხოლმე საფლავს და ამოიღებს იქიდან მკედარს. თუ სადმე ხელთ იგდო, პატარა ბავშვსაც კი არ დაჭრიდღეს თავის კბილებს. ახლა იმის ხმას არ იტყვი! იმან არ იციან არც მგელისათვის დღმელი, არც ტურასავეთ კიელი და არც ყვეფა ძილსავეთ. თუ ოდესმე გაგიგონია გაფეფებული კაცის სიცილი, ხარხარი, სწორეთ ის მოგაგონდება, როცა გესმის ამ ცხოველის ხმა. შესაძლოა შეხედულაობა, ღამით სიარული, ლეშის ქამა და გიჟი კაცივით ხარხარი, რომელიც სხევიამ ამ ცხოველს, საკმაო იქნებოდა იმის მიზეზათ, რომ უტოლინარო კაცს თავის გონებაში წარმოედგინა ეს ცხოველი ისე, თითქმის მგელიც არის და კაციცაო.

\* \*



მაგრამ ბუნებაში ყოველის ფერს ისეთი რიგითი დაწყობილება და დანიშნულება აქვს, რომ არ შეგიძლიან სთქვა, ეს საძაგელი ცხოველი რათ გაჩენილა, ან ეს მშვენიერი ცხოველი რატომ ბევრი არ არის. ამ სახით აფთარიც დიდს სარგებლობას აძლევს ქვეყანას, იმითი რომ აწყობს ყოველს გვარს ლეშს და აერის გამრყენელს სუნს. აფთარიკაში ჩვეულებათ აქეთ, რომ არც კაცის მძოვარს მარბავენ და არც სხვა ცხოველის ლეშსა. რომ აფთარები არ იყონ იქ, სულდგმული ვერ გახდებდა სუნისაგან.

\* \*

ჩვენში და განსაკუთრებით სომხთისაჲენ ბევრი იბოება ეს მგლის და ტურის-მოღდმის ცხოველი, რომელსაც იმერეთში ტურა-ფოცხვერს ეძახიან, განიერი და სწავლული ქართველები აფთარს ეძახდენ და უბრალო ხალხი კი მგელ-კაცას, აღბათ მოპირებულ ზღაბარში გაუგონია ეს სიტყვა და იქიდგან დაუსწავლია. ამ ცხოველს რომ შესედო, იმის შავი სხეილი თავი მგელს მოგაგონებს, თუმცა ტუჩი უფრო თათრულს ნავახს უგავს; ტანი კი ტურისა აქვს. ძის ზის ძელის ძიმვი მგლისაზე უფრო სხეილი აქვს და ამის გამო თავი კიდევ უფრო სხეილი უჩანს. უკანა ფეხები მუხლოში ისე მოხრილი აქვს, რომ გეგანება, ვინდაცას მოუმტრევიო. ზურგზე ედებოდა თმის ქოჩორი ვადაუყვება კულამდის, ტანათ რუხვია; ბეჭებზე და გვერდებზე შავი ზოლები უზის.

\* \*

აქ დახატულია ჩვენში რომ აფთარია ისა. სწავლული კაცები გიენას ეძახიან. ეს ცხოველი ჩვენსკენ გადმოსულია ანატოლიიდან და აფთარიკიდან. აფთარიკა მინც ამ ცხოველების დედა-ქვეყანაა. იქ მგლების მაგიერათ აფთარები ცხოვრობენ. მგლები იქ არ იმყოფება, როგორც მგელს, აფთარსაც უდაბურ ტყეებში და ღრეებში უყვარს ბინადრობა, აგრეთვე კლდის ქვაბებში. ტურებისგან გათხრილს ხერცელებშიაც ხშირად ვაიკეთებს ხოლმე ადგილ-სადგამს. ასეთი მაგარი უბები და კბილები აქვს რომ კამბეჩის ძვალს ისე დაკრებს, როგორც კატა ჩიტის ძვლებსა. ჩვენში რომ აფთარია, ის ისეთი მშინარაა, რომ თორმეტი წლის ყმაწვილი გააქცევს. თუმცა აფთარიკაში ზოგიერთი გვარის აფთარი

მგელზე უფრო დიდიც იზრდება და ძალიან შემდედავიც არის.

**მეურნობა და სახლსნობა.**

**უ ტ რ ძ ნ ის ა ხ ა ლ ი ა ე თ მ ყ ო ფ ო ბ ა**

ამ სამი წლის წინათ ეს ავთიმყოფობა პირველთა გჩნდა შრანციასი. მაგრამ პირველ გაჩენაზე იმდენათ ზარალს არ შერებოდა; მეორე და მესამე წელს კი ისეთ ნაირათ ვაფუჭა ვაზები, რომ საცა კი იყო ეს ავთიმყოფობა, ყველგან საშინლათ მოაოხრა ვენახები. უკანასკნელ დროდის ვენახის პატრონებმა არ იცოდნენ, რასში მდგომარობადა ასეთი მომაოხრებელი სენი, ვერაფერი წამალი ვერ იხმარეს, ვენახის პატრონები ხელგულ დაკრეფილები გლოვდენ თავის უბედურებას.

\* \*

მასულს ზაფხულს შრანციის მთავრობამ მცოდნე კაცებს მიანდო, რომ დაწერილებით შეეტყუათ იმათ ყურძნის ავთიმყოფობის ანგარიში და ეპოვნათ იმისი წამალი.

თუმცა ნამდვილათ ვერ შეუტყუათ, როგორ გადადის ეს ავთიმყოფობა ერთი ეაზიდგან მეორეზე; მაგრამ სწორეთ კი იციან, რომ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში არ გადადის. ის ჩნდება ჰაისაგან და სხვა ერთგვარ გარემოებისაგან, ერთნაირ მიწაზე, ერთნაირ ჰაერში და საცა ერთ გვარი სითბოა. ბადამდები არ არის ეს ავთიმყოფობა.

\* \*

ავთიმყოფს ეაზს ჯერ ფესვებში ზოგიერთგან გამოაჩნდება პატარა-პატარა ლაქები და მერე უტბათ შეტყვება და დალაქავს თავამდის. შოთლებს ფერი ეცვლებათ. მწვანე ფოთოლს გადაჭრავს ყვითელს ფერსა, მერე ცოტათ ვაშადდება, მიიღებს მიწის ფერსა, ნაპირებზე კიდევ გაწითლდებიან ფოთლები. მერე დაიხრუქება, გახმება და ძირს ჩამოსციევა. წერწი კარგათ არ იზრდება, არ იღუნება და ადილათ ტყდება. ამასთანავე ლერწის წვერი მალე ხმება.

\* \*

თუ ძალიან მორყული არა აქვს ავთიმყოფობა, ტყეები მწიფდებიან; და თუ მორყული აქვს, მარცხლები მოწითალოთ სტყვიან, მჭავე გემო აქვს, ერთობ წყლიანია და ბუნებითი სუნი სულ ეკარგებათ. ამისთანა ნიშნები აქვს

ეაზსა, თუ ავთიმყოფობა დიდი ხნის არ არის; და თუ სენი დაბერებულია, მაშინ უფრო სხვა ნაირათ ეცვლება სახე. ავთიმყოფობის დამართების შემდეგ გამოდებული ტოტი აღარ დასრულდება; ის ფოთლებს გამოიღებს ხოლმე. თითონ ფოთლები დიდები არ ეხდება და ნაპირები დახრუქული აქვთ. ამისთანა ტოტები ჯერ სულ არ გამოიბმენ ტყეანს და თუ გამოიბა, არაოდეს არ დამწიფდება, იმთაღერები უხმებათ და ისრინათ სტყვიან. მერე ეაზს ჯერ ტოტები უხმება და შემდეგ ძირიც ულდება.

\* \*

როდესაც გაშინჯავენ ეაზს, განსაკუთრებით ძირებს შიქცევენ ყურადღებას, ამიტომ რომ ეს ავთიმყოფობა ძირიდან შეტყვება ხოლმე. თუ ავთიმყოფობა მორყული აქვს ეაზსა, იმისი ძირი დამალი გამოდის. მერეკი სულ მოშორებული აქვს. ლპობა იწყება ხოლმე პაწაწინა ფესვის ძაფებიდან, რომლითაც ეაზი სწოვს წვეწვს მიწიდგან. ამ ჭამად ნამდვილათ შეუტყუათ, რომ ეს ავთიმყოფობა პაწაწა ჭია-ბუხას ბრალია, რომელიც თავის წმინდა ნეშტარით დასჩხელეტს ხოლმე ეაზის ფესვს და სწოწის იქიდგან წვეწვსა. მს ჭია-ბუხა ასეთი პატარაა, რომ თვალის დასახანავათ ძნელია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ძალიან მალე მრავლდება ეაზის ფესვებზე, ისინი ართმევენ წვეწვს და ამბობენ ეენახსა.

\* \*

როდესაც დახვედრეტლ ფესვებზე ეაზის წვეწვი მოგროვდება, ასე რომ იმის ქერკი დაიწყებს ლობახს, მაშინ ისინი ჩაღრმავდებიან შიგნით ფესვის გულში და იქ სწოწიან. როცა აქაც მოერევა ფესვებს სიღამლგე, მაშინ ისინი დაადგენენ თავ ეაზის ფესვს და მოსძებნიან მეორე ეაზსა. ამ ჭია-ბუხას არ უყვარს დამამ ედესი, საზრდოთ ირჩევს ახალ-ახალ ფესვებსა.

\* \*

როგორც კახეთში, ისე შრანციის სამხრითაც ლინოა მარტო ხალხის სომიდრე. ახლა უნდა წარმოიდგინოთ რამდენი ზარალი მიეცათ იქაურ მეოჯახებებს, როდესაც ასე უბრძლებელი ჭირი დერია იქაურ ვენახებსა. უნდა ვთქვა, რომ ყოველგან ერთნაირათ არ მოქმედებს ეს ჭია. ადგილზე და ადგილზე ჰყლია. მერეიან და უნაყოფო ადგილებზე

უფრო მრავლდება ეს ჭია-ბუზა. მაგრამ დაბლდება და ნამიან ადგილებსაც ძალიან ემტერება. შეეღა გეარ ყურბენს ერთნაირათ არ ემტერება. ეს ცხოველი, ძალიან ნოყიერი მიწის ვენახებს უფრო ეერას აკლებს. ოუ სიცივე და გოლიანი წვილი დადგა, ეს ჭია მაშინ უფრო მრავლდება.

\* \*

საკითხავი ეს არის, რა მიზეზისაგან გაჩნდა, ეს ჭია?—სამწუხაროთ არც ერთმა მეცნიერმა აქამდის არ იცის ნამდვილი მიზეზი იმის გაჩენისა; ზოგი ამბობს, რომ ეგ ჭია უწინაც იყო,ო, მაგრამ რადგან ასე გამრავლებული არ იყო, როგორც ახლა, ამისთვის, არაინ ყურს არ უგდებდაო. ზოგი იმ აზრის არის, რომ ეგ ჭია-ბუზა სხვა ქვეყნიდან მოსულიაო, სხვანი კიდევ იმას ამბობენ, რომ ეგ ისევე ის პაწაწინა ჭია-ბუზაა, რომელიც მრავლდება მუხის ფესვებზეო და თუ აქამდის მაგას ყურადღებას არაინ აქცევდა, იმისთვის რომ მაგ ვაზის ფესვებზე არ იწყებოდაო და ახლა რაკი ვაზის ფესვი შეხვდა, უფრო კარგი საზრდო მოიპოვავა და იმიტომ დაეცა ასე საშინლათ ვაზებსაო. მართი სიტყვით მეცნიერები სხვა და სხვა აზრისანი არიან იმის გაჩენაზე, რადგან არც ერთმა ნამდვილი არ იცის. ბევრნაირი საშუალება და წამალი იხმარეს, მაგრამ საუბედუროთ არც ერთს იმათგან ვერ გაუწყვიდა საკმაოთ ეს ჭია-ბუზა! მხოლოდ ფენის ადგილიდან მოგრაველი სასუქის მოყრამ ვენახებში და ამასთან გოგირდის გარეემ ძალიან შეასუსტა ეს ავითყოფილა, თუმცა სრულიად ვერ მოუსპავა.

მ ა რ ი ლ ის ა გ ა ნ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა ო ჯ ა ხ ო ბ ა შ ი. მარილის ქებებს ოჯახობაში ბევრნაირათ ხმარობენ. ოუ საქონელს მოასლაქვინენ, იმას გაეღვივება მადა და წყურვილიც მისდის. ღა ამის გამო ბევრს რძეს უყენებს ძროხებს; ცხერებისთვის მაინც მარილი ძალიან საჭიროა. შრანციაში მარილიანს ტყერებში გასუქებულს ცხერებს დიდი ფასი აქვთ. იმერეთში პრვეთოსთანა გემოვანი და გასუქებული ცხეარი არ სად მოიძებნება. ამიტომ რომ იქ ბევრან არის თეთრი მარილიანი მიწა, რომელსაც სლაქვეენ ცხერები. შრაციერო სამოგარს რომ მარილი გაურო, განაოყიერებს და უფრო დიდხანს შეინახავს ისე რომ არ დაქენება.

\* \*

ნოყიერობის გარდა იმას სასუქათაც ხმარობენ: ზღვის პირს მდებარე შრანციის მავრებში დიდი ხანია ჩვეულებათ აქეთ სასუქზე ზღვის წყალის დასხმა.

ღრ დლიურ მიწაზე დაყრილი თერამეტს ფუთის სასუქს რომ მარილი რიგინათ უყო, ისეთი კარგი მოქმედება ექმნება მოსავალზე, რომ მეტი არ შეიძლება. ოუნდა გოლივაც დაუდგეს მოსავალს, მარილი მიიზიდავს ნაშს ჰაერიდან და გოლივას არ შეატყობინებს. მანსაკუთრებით კოლინდარზე აქეს კარგი ზედმოქმედება.

\* \*

სხვა-და-სხვა მეცნარეებზე, აი, როგორი მოქმედება აქვს. ხორბალზე, ქერზე და შერიანზე მარილს ისეთი ზედმოქმედება აქვს, რომ თათათს უფრო დიდს და ბევრ მარცვლებიანს გამოადებინებს. საცდელათ ორ დლიურ მიწაზე ოცი ფუთი მარილი შეურიეს კირს და აზილეს უბრალო სასუქთან ერთათ. მეგრ ის მოაყარეს მიწას.

ძართობილისათვის კირი არ უხმარიათ. რამდენიც ხორბალისათვის იხმარეს მარილი, იმისთვისაც იმდენი აიღეს, შეურიეს უბრალო სასუქსა და მოაყარეს მიწაზე. ამის გამო კართობილმა ტანიც ძალიან აუშუდა და დიდი გამოსავალიც ჰქონდა.

\* \*

დიდი ხანია შეუტყვიათ, რომ მარილს ძალიან კარგი ზედ მოქმედება აქვს ჭარხლის მოსავალზე. ზღვის მახლობლათ მდებარე ადგილებზე ჭარხალი უკაცის ხელოთაც მოდის, რადგან აქ მარილი ჰაერსა აქვს ზღვის წყლიდან ატანელი. ოცდა ათი ფუთი მარილი რომ იმის და გვართ ბევრს სასუქს უყო და იმითი გაასუქო ჭარხლით დათესილი მიწა, მაშინვე გააძლიერებს მოსავალს. მაგრამ ეს ჭარხალი შაქრის გამოსადელოთ არ ვარგობს, საქონლის საზრდოთ კი მეტი არ შეიძლება ისეთი ნოყიერია.

\* \*

თალგამისთანათ არაფერს მეცნარეს არ უხდება მარილი. ოცდა ხუთმეტი ფუთი მარილი რომ კირში აურიოს კაცმა და ამითი გაასუქოს თალგამით დათესილი მიწა, გასაოცარს მოსავალი დადგება. ანგლიაში დიდხანიდან ასუქებენ ხოლმე მარილით სათიბებსა. როგორც ამბობენ, 1821 წლიდან და-

უწყიათ იქ მარილის დაყრა სათიბებში და მას აქეთ ყოველ წლობით უფრო და უფრო უკრცელდება. ბელგიაში და შრანციაში შინჯეს მარილის დაყრა სასათიბე მინდერებზე და საკვირვლათ ივარგა. ორ დლიურ ნახევრისათვის მოამზადებენ ხოლმე სამოცს ფუთს კირს და ოც ფუთს მარილს; აურევენ ამთ ერთმანერთში და მოაყრიან სათიბებში.

\* \*

ას გირვანქა საქონლის საზრდოს რომ ერთი გირვანქა მარილი გაურო, ისეთნაირათ გაანოყიერებს, რომ მარილიანს ცუდს ბალახს არჩევს საქონელი იონჯასა. მარილი კიდევ იმითია კარგი, თუ გაშლილს თივას წვიმა მოესწრო და მეგრ მარილი მოაყარე აღარ დაალობს. ღაწმენდილი მარილის ჰქმევასა ქვამარილის ნატევი რომ ჩაუგდოს კაცმა ბავაში, ის ემჯობინება.

მარილი გარდა გასუქებისა საქონელს დაიფარავს სხვა-და-სხვა გადამღებ ავითყოფილსაგან და ამის გამო ვისაც პირუტყვის ჯოგი ჰყავს, იმან უტეველათ მარილი უნდა აქამონ თუ ყოველთვის არა, ხანდახან მაინც. ამას გარდა ყანებს თუ დაესია მაენებელი ჭია, ან ლოკოკინა, დილაობით რამდენჯერმე რომ მოაყარო მარილი, მაშინვე გაწყდება. მინდერის თაგვები მაინც სულ ვერ გაიციდნან მარილსა.

სამაჰრო ნაწილი.

მატყლის ვაკრობაზე მეტროპაში.

ამ უკანასკნელს დროს დიდი ალიანქოთი ასტეხეს შრანციის მემამულეებმა, რომელთაც ცხერის ფარები ჰყავთ. ჩვენს მატყლს გასავალი არა აქვს; საზღვარ გარეთიდან იმდენი მატყლი შემოდის, რომ ჩვენს მატყლს აღარაინ ყიდულობს, ან თუ ყიდულობენ, ისეთ ფასს იძლევიან, რომ გაყიდვას გაუყოფელობა სჯობიაო. ოუ ასე იქნა ფარების მებატრონები სულ უნდა გაღარიბდნენ და მატყლის კეთება უნდა დაეარდეს შრანციაშიო.

\* \*

ამის გამო ისინი იმდენათ შეუჩდნენ მთავრობას, რომ კანონი დაადებინეს, საზღვარს გარეთიდან შემოტანის მატყლს ბაჟი გადახდესო. ამის შემდეგ რასაკვირველია საზღვარ გარეთის მატყლს ფასი მოემატებოდა და



ამაზე კიდევ უფრო შესანიშნავი ამბავი ის არის, რომ ამჟამად მეცნიერები ცდილობენ თვითონ თუთის ხისაგან (ჰოლოსაგან) გააკეთონ აბრეშუმი. თუმცა აქამდის ვერას გახდომიან, მაგრამ სწავლულ კაცებს იმედი აქვთ, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უმაკვლად შეგვეძლება თუთის ხისაგან ისეთი ძაფის გაკეთება, როგორსაც აბრეშუმის ჭია აკეთებდა.

\* \*

ისინი ამბობენ: რომ შეიძლებაღესო თუთის კანისაგან ისეთი რბილი და წებოს გვიანი ნივთიერების შედგენა, როგორსაც ებოულაობთ ჭიის ტანში, როდესაც ის გაძღვბო ფოთოლით, მაშინ საქმე გათავებული იქნება. ამ ნივთიერობისაგან ადვილათ შეგვეძლება ძაფის ამოღება და იმისგამ მოქსოვა სამოსლისა, როგორც ახლა ჰქსოვენ ვალხვალ მინის ქსელისაგან. მაშინ მოქსოვაც არ იქნება და საჭირო, შეიძლება მოუქსოველათაც გავვეკეთებინა მატერია იმ რიგით, როგორც ძველ კონქებისაგან აკეთებენ ქალაღებსაო, რომ შესაძლებელი იყოს იმისთანა ნივთიერების დამზადება, როგორსაც ჩვენ ებოულაობთო ჭიის მუცელში, ამავბის გაკეთება ძალიან ადვილი იქნებოდაო. მაგრამ ჯერ ვერც ერთს ქიმიკოსს ვერ მოუხერხებია თუთის კანისაგან და ფოთლებისაგან აბრეშუმისთანა ნივთიერების გაკეთებაო. იმისთანა ზეთი რომ იმოგებოდეს, რომელიც გახსნიღდეს მინც აბრეშუმის ქსელსა, მეტი არა უნდარა. მაშინ შეიძლება თუთის ხეში რაც აბრეშუმის შემადგენელი ნივთიერება იქნებოდა, ყველას გახსნიდა ეს ზეთი და მერე იქიდგან შეიძლება ზეთის ამოშრობით აბრეშუმი ძირს დაღკეილიყო. მაგრამ აქამდის არ იციან ამისთანა ზეთიცა.

\* \*

საკითხავი ეს არის!—თვითონ ჭიას უღდას მუცელში ამისთანა ზეთი, რომელიც გამოკრებს ხოლმე თუთის ფოთლებიდგან აბრეშუმსა, თუ თუთის ფოთლები იქციეიან აბრეშუმით ჭიის კუჭში რაიმე ნივთიერებისაგან, რომელიც ჩვენ არ ვიცით?—აგრეთვე არ იციან, რა მიზეზისაგან მაგრდება ჭიის ნერწყვი ჰაერში და იქცევა ძაფად: გაშრობით,

თუ ჰაერიდგან ჭიობის მიტაცებით და მასთან შეერთებით. სანამდის ამავბს არ შეიტკავბენ, მანამდის შეუძლებელია მოხერხდეს თუთის ფოთლი გან აბრეშუმის გაკეთება.

\* \*

— ახლანდელს დროს ისეთი დიდი ყურადღება მიქცეული მეურნეობის ცოდნაზე, რომ მეროპის სახელმწიფოები თანდითან უფრო და უფრო ამრავლებენ მიწის კარგათ მუშაობის მასწავლებელს შკოლებსა. არამც თუ შკოლებს, უმაღლეს სასწავლებელთაც კი ჰმართვენ ამის გულისთვის. სხვათა შორის ისპანიაში განიზრახეს ამისთანა უმაღლესი სასწავლებელის გამართვა, სადაც ახლგაზღობამ უნდა ისწავლოს კაი ოჯახობა და საუკეთესო მუშაობა მიწისა. ის უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი უნდათ გახსნან ერთს უზარმაზარს შენობაში, რომელიც უწინ ბერების სადგომათ იყო. ამის ხარჯს კისრულობს სამი მზარა:—ძატელიანა, ძალენცია და ალიკანტი. ამ სასწავლებელში გარდა სამეურნეო მეცნიერების სწავლისა კიდევ ამუშავებენ და საუკეთესო საოჯახო იარაღების ხმარებაშიაც გააჩეივენ ახალგაზღობასა.

\* \*

— ნოვოჩრკასკის ქალაქში ერთმა გლეხმა გახსნა სასოფლო შკოლა თავის ხარჯით. ძვერ რამდენიმე წელიწადია, რაც ეს კეთილგონიერი და ღირსი კაცი აწველის თავის ხარჯით სამოცს გლეხის შვილსა. თვითონ ქირობს მასწავლებელს ღვდელს, და შკოლისათვის აგროვებს წიგნებსა.

— შრანციაში ერთს მებაღეს მოუგონია მინებული ჭიაბუხას კვერცხების და იმის ჭიების გასაწყვეტი წამლი. ამ ჟამად აგროვებენ ფულს ხელის მოწერით მიღებს შრანციაში, რომ იმ მებლისაგან იციღან ამა წამლის სწავლება. რაცა მოაგროვებენ ფულს, კამისა არის ამისთვის შემდგარი და თუ ის დარწმუნდა, რომ მართლაც ეს წამალი ჭიაბუხას გამწყვეტელია, იმ მგროვებულს ფულს მისცემენ მებღესა.

\* \*

— შეელამ იცის, რა საშინელი გვაღებები ღებდა ხოლმე ზაფხულობით ისპანიაში. ახლა უნდა გააკეთონ მშენიერი სარწყავები სამს მზარაში, ტარრაგანს, ძასტილიას და მალენციაში. წყალი უნდათ დიდი არხებით გაიყვანონ მზარების ყოველ კუთხეში მშრობის მდინარიდგან. იქაური მთავრობის ხაზინა ძალიან

გახრეცილია ამ ჟამად, და ამ დიდი საქმის შესრულება თვის იღვეს მხოლოდ ქაღებებზე.

### მუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიწერილობა.

სოხუმის სამხედრო განყოფილების ნაჩალნიკმა მაცნობა, რამ იმპერიის მზარიდგან იძულებული შეიქცენი ამეყრა და დამებრუნებინა ოთხი მგველი ვეზირი, რომელნიც იქ დაესახლენ. ამისთვის ფიცხათ მოვგონებყველა უცხდის ნაჩალნიკებს, რომ იმათ უცხდებიდგან კვლავ არ მოხდეს ამისთანა გადასახლება სოხუმის სამხედრო მზარაში.

### მუთაისის გუბერნიის მთავრობის განკარგულებანი და გადაწყვეტილებანი.

შინდელი წესით პოლიციისაგან გადაწყვეტილი საქმი მორიგებით ერთმა სასოფლო სასამართლომ მუთაისის გუბერნიაში ხელ ახლა განიხილა.

რადგან სამოქალაქო სჯულის კანონის ძალით ერთხელვე მორიგებით გათავებული საქმე საბოლოოთ გადაწყვეტილათ ითვლება და მორიგებს ნება აღარ აქვთ ეს საქმე განახლონ, ამისთვის მუთაისის სამხედრო გუბერნატორმა მისწერა უცხდის ნაჩალნიკებს, რომ გამოუცხადონ სასოფლო სასამართლოებს, ამიერიდან თვითონ აღარ განიხილონ იმისთანა საქმეები, რომელიც ერთხელვე მორიგებით გადაწყვეტილია.

— აზნაურის ხუნჯუას გლეხებმა ირემადებმა იხილეს, რომ როცა ბატონ ყმობით დამოკიდებულებისაგან განთავი უფლება გამოაცხადეს სამგერელოში, იმის შემდეგ ჩვენ ვართ ხუნჯუას გლეხთ უწყებულო და იმის გადასახად ვიხდითო, მხეიძებო კი თავის წილათაც ვეიხოვენ გადასახადს, რომელიც გადასწყვეტა მეოთხე განყოფილების მიროვის პოსტდნიცმა და ამისთვის ეთხოვეთ მუთაისის გუბერნიის პრისუსტიკას დაარღვიოს მიროვის პოსტდნიცმა სამართალიანათ შეგრაჯება მიროვის პოსტდნიკის გადაწყვეტილება და უარი უთხრა ირემადებებს თავის სახივარე.

## განსხაღება

ზამოციღა პაწაწინა კალენდარი ამ წლისა და ისყიდება მწფიანჯიან ცის მაგაზინში, მელიქი შეილის და კამპანიის სტამბაში. თფილისა. შასი სამი კაპიეიკი, ან ხუთი გროში.